

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ოთხი ძმა“

ს/ნ 248425841

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ.ბათუმი

2019

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	7-11
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	7
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	7
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები	11
შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	11
შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა	11
შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	11

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ოთხი ძმა"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შინაარსი	31.12.2018	31.12.2017	30.12.2016
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	495 335	341 236	330 109
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	287 746	137 025	7 586
გადახდილი ავანსები			
მზა პროდუქცია	2 621 990	2 757 211	
სასაქონლო მატერიალური მარაგები	1 091 145	660 121	1 875 364
სხვა მიმდინარე აქტივები (წინასწარ გადახდილი საგადასახადო ვალდებულებები)			72 568
სულ მიმდინარე აქტივები	4 496 216	3 895 593	2 285 627
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	800	800	800
ძირითადი საშუალებები	2 184 682	922 000	1 862 232
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	2 185 482	922 800	1 863 032
სულ აქტივები:	6 681 698	4 818 393	4 148 659
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	25 325	89 962	30 445
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მომართ		2 590	-414
საგადასახადო ვალდებულებები	123 195	97 999	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	2 598 963	2 082 124	1 650 880
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2 747 483	2 272 675	1 680 911
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1 871 025	885 426	1 075 893
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1 871 025	885 426	1 075 893
სულ ვალდებულებები	4 618 508	3 158 101	2 756 804
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	555 000	780 000	1 180 000
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი	1 508 190	880 292	211 855
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	2 063 190	1 660 292	1 391 855
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6 681 698	4 818 393	4 148 659

დირექტორი

ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ოთხი მძა"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში

შინაარსი	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	622 769	532 031
სამშენბლო ხელშეკრულებები (ბინების მიწოდება)	271 565	446 100
სხვა შემოსავლები	36 287	
საწყისი მარაგები	-3 417 332	-1 875 364
შეძენილი ნედლეული და მასალები	-295 805	-534 375
გადამუშავების დანახარჯები	0	-1 185 108
საბოლოო მარაგები	3 713 135	3 417 332
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები	-39 966	-45 630
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-28 404	-27 774
საპროცენტო შემოსავალი	5 407	4 430
საპროცენტო ხარჯი	-208 224	-67 874
იჯარის ხარჯი		
კომუნალური ხარჯები		
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-23 500	-21 024
ფინანსური ხარჯები		
მოგება დაბეგვრამდე	635 932	642 744
საგადასახადო ხარჯი		
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა	635 932	642 744
ფინანსური აქტივები	-8 034	25 693
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	1 660 292	1 391 855
შენატანი კაპიტალში		
დივიდენდები		
განაცემები კაპიტალიდან	-225 000	-400 000
სხვა შემოსავლები	627 898	668 437
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების შედეგი		
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	2 063 190	1 660 292

დირექტორი

ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ოთხი ძმა"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ქართულ ლარში)

შინაარსი	კაპიტალი	რეზ-ბი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
1.1.2017 წაშთი	1 180 000		211 855	1 391 855
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-400 000			-400 000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება				0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			668 437	668 437
31.12.2017 წაშთი	780 000	0	880 292	1 660 292
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-225 000			-225 000
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება				0
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი			627 898	627 898
31.12.2018 წაშთი	555 000	0	1 508 190	2 063 190

დირექტორი

ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე

მომზ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ოთხი ძმა"

ფულად სახსრების ცვლილების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ქართულ ლარში)

ფულადი სახსრების მოძრაობა	31.12.2018	31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	154 099	11 127
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	154 099	11 127
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	341 236	330 109
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	495 335	341 236

დირექტორი

ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ოთხი ძმა.“ რეგისტრირებულია 2006 წლის 30 ივნისს, საზოგადოების ს/კ 248425841

საზოგადოების იურიდიული მისამართია ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი მახვილური,

საწარმოს დამფუძნებელი არიან პარტნიორები:

20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი მურად ჭელიძე	(61009001069)
20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი ზია ჭელიძე	(61006003252)
20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი იოსებ ბერიძე	(61009000163)
20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი თემურ დევაძე	(61006003528)
20% წილის მფლობელია ფიზიკური პირი მერაბ დევაძე	(61006001615)

საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორია ზია ჭელიძე (61006003252)
საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა

კერზოდ საზოგადოებამ 2007 წელს ქ. ბათუმში შავშეთის ქუჩა #24 შეიძინა უძრავი ქონება, მოაწყო სავაჭრო ობიექტები და 2007 წლიდან დან 2015 წლამდე მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა ობიექტების გაქირავება მეწამე სუბიექტებზე სავაჭრო ობიექტების მოსაწყობად..

საქმიანობის გაფართოების მიზნით საზოგადოების მიერ 2015 წელს კუთვნილი მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი. სადაც წამოწყებული იქნა მრავალსართულიანი მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მიმდინარე ეტაპზე საზოგადოების მიერ საკუთარი ზაღებით დასრულებული იქნა ორი კორპუსის მშენებლობა და მიმდინარეობს ახალი კორპუსის მშენებლობა.

საზოგადოება საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს შემოვების გაქირავებიდან და ასენებული კორპუსებიდან ბინებისა და კომერციული ფართების რეალიზაციით. ახალაშენებული შენობების კომერციული ფართები რჩება საზოგადოების საკუთრებაში გაქირავების მიზნით, რამდენადაც საზოგადოება გეგმავს საიჯარო ფართების ბაზების გაფართოებას და მსენებლობა ძირითადად გრძელდება არსებული საიჯარო ფართებს დემონტაჟის ხარჯზე.

ფულად სახსრებს საზოგადოება ხარჯავს როგორც ქვეყნის შიგნით ისე ადგილი აქვს ფულის გადახდას უცხოელ მომწოდებლებზე საიდანაც შეძენილი სმფ ვალდებულებები აღირიცხება პირობითი ფულადი ერთეულის ექვივალენტ ლარში, შესაბამისად, საზოგადოების სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე

დირექტორი  ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე



დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, ამონაგების აღიარება ხდება დღევანდელი ღირებულებით,

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს,

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საცხოვრებელი ბინის მიწოდების შემთხვევაში, სადაც ანგარიშსწორების ფულად ერთეულად განიხილება უცხოური ვალუტა და ანგარიშსწორება ხორციელდება ექვივალენტ ლარში საქონლის მიწოდების ფასს განსაზღვრავს ფაქტიურად ანაზღაურებული ლარი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენს დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

დირექტორი

ზია ქელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებული აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს.

საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიდწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენი ღირებულებას, ცვეთის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმომ აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვეთის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება ასახავს, როგორც საადრიცხო შეფასების ცვლილებას.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი)

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 5. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენები.

შენიშვნა 6. მსს ფასს-ზე გადასვლა

საადრიცხო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემო-ებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირებების აუცილებლობა.

შენიშვნა 7. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს „ალიგატორი ი.ს.“

დირექტორი

ბუღალტერი

დირექტორი

ზია ჭელიძე

ბუღალტერი

ნათია რომანაძე